უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №64

2018 წ. "07" 09

ქ.თბილისი

შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლესი სასწავლებლისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლესი სასწავლებლის 2018 წლის 7 სექტემბრის №65-ე კორესპონდენციის (ცენტრში რეგისტრაციის №1096609), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლეს სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204872931) გაუუქმდეს ავტორიზაცია.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №12 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილი იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი